04/08/2025

MES 5 25 0000968514

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს**
**სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**
**სხდომის თარიღი: 21.07.2025**
**სხდომის დაწყების დრო: 14:00**
**სხდომის დასრულების დრო: 20:45**
**სხდომის თავმჯდომარე: ლევან შავაძე (I, II, III)**
**სხდომის თავმჯდომარე: ქეთევან აფთარაშვილი (IV, V, VI)**
**საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) $27^2$-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

1. **ლევან შავაძე -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ქეთევან აფთარაშვილი -** შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. **ნარგული ასანიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

5. **თეა მჭედლური** - შპს,, უნივერსიტეტი ალტერბრიჯის“ ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
6. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
7. **ქეთევან ნანობაშვილი** - შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
8. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
9. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
10. **მზია წიკლაური** - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
11. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
12. **ბონდო გასვიანი** - შპს - საქართველოს ეროვნული უნივერისტეტი სეუს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
14. **ვლადიმერ ადეიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

- **ქეთევან ინანაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ლალი ოდიშვილი** -უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
- **ანა ქერაშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

- **სალომე დუნდუა** - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
- **ხათუნა მაისაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
- **თამარ დოლბაია** - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;
- **მარეხ დევიძე** - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **შოთა ფოთოლაშვილი** - თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ნინო ქიმერიძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;

**შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტი აიიუთი**

- **ვლადიმერ მკერვალიშვილი** - რექტორი;
- **კახი ყურაშვილი** - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- **ნინო სეფაშვილი** - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი;
- **ირინე არჯევანიძე** - მოსამზადებელი პროგრამების ოფისის ხელ-ლი;

**შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი**

- **სალომე პირველი** - რექტორი;
- **მაკა კობალავა** - სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანი;
- **ანჟელა აბულაძე** - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი; მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
- **ია რობაქიძე** - მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

**სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი**

- **თეა კორძაძე** - ხარისხსის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ციცინო თურქაძე** - პროფესორი, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- **ლელა კიკნაველიძე** - მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- **მაია გრძელიძე** - პროფესორი, მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- **ნანა თხელიძე** - ასოც. პროფესორი. მოდის დიზაინის საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- **ნატალია ლომთაძე** - ასოც. პროფესორი. მოდის დიზაინის სამაგისტრო პროგრამის თანახელმძღვანელი;
- **გიორგი ჩხიკვიშვილი** - სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლის დეკანის მოადგილე;
- **მურმან ციქუბაძე** - ფინანსური და მატერიალური სამსახურის ხელმძღვანელი;
- **თეა თულაშვილი** - ადამიანური რესურსების სამსახურის ხელმძღვანელი;
- **სოფიო ალფაიძე** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
- **ია მებონია** - აკადემიური პერსონალი.

**აკრედიტაციის ექსპერტები**

- პროფესორი ადრიან ჰედლენდი (I)
- დოქტორი თამთა ცხოვრებაძე (I)
- დოქტორი თინათინ ზაქარაშვილი (I)
- სოსო გაზდელიანი (I,III)
- ნინო პოპიაშვილი (II)
- ქეთევან აფთარაშვილი(II)
- ირინა გოგონაია(II)
- თეონა დადუნაშვილი (II)
- ეკატერინე ფიფია (III)
- ზაქარია ქიტიაშვილი (III)
- ქრისტინე ჩიხლაძე (III)
- ნინო მგალობლიშვილი (IV,V)
- თამარ ჩხეიძე (VI)

აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, პირველ, მეორე და მესამე საკითხებს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **ლევან შავაძემ,** ხოლო მეოთხე, მეხუთე და მეექვსე საკითხებს, საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, **ქეთევან აფთარაშვილმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების $27^2$-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- არა

**დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა.

**პირველი საკითხი:** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: ჟურნალისტიკა (რუსულენოვანი)
**საფეხური**: ბაკალავრიატი
**სწავლების ენა:** რუსული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: ჟურნალისტიკის ბაკალავრი
**დეტალური სფეროს კოდი: 0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა**
**სტატუსი:** ახალი
**კრედიტები:** 240

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადეს თამარ ზარანდიამ და ქეთევან აფთარაშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ადრიან ჰედლენი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ეს პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის სრულიად ახალი ინიციატივაა. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის პროგრამა ფუნქციონირებს 1988 წლიდან, ეს იქნება პირველი რუსულენოვანი პროგრამა ჟურნალისტიკის მიმართულებით საქართველოში.

ვიზიტი უნივერსიტეტში შედგა 2025 წლის 16 აპრილს. ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე დახვდა გამოცდილი და პროფესიონალი პერსონალი. ვიზიტის დაწყებისთანავე გაიმართა დისკუსია პროგრამის საჭიროების შესახებ. დებატებისას გამოითქვა გარკვეული სკეპტიციზმი თავად უნივერსიტეტის წარმომადგენლების მხრიდან, თუმცა დისკუსიის პროცესში ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ პროგრამის არსებობა ნამდვილად აუცილებელია.

ჰედლენმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამაში ქართული ენის კომპონენტის გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ ადგილობრივი ენის უკეთ დაუფლებას.

მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა აბიტურიენტების რუსული ენის ცოდნის დონეს — ექსპერტების აზრით, პროგრამაში ჩასარიცხად სტუდენტმა მინიმუმ B1 დონეზე უნდა ფლობდეს რუსულ ენას. ასევე, რეკომენდაციებში ხაზგასმულია სწავლა/სწავლების მეთოდების გაუმჯობესების საჭიროება, რათა სტუდენტებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა პრაქტიკული პროფესიული უნარების განვითარებისთვის.

მესამე რეკომენდაციის მიხედვით, უნივერსიტეტმა უნდა წაახალისოს სტუდენტები გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისკენ, რათა გაიზარდოს მათი მოტივაცია და საერთაშორისო გამოცდილება. მეოთხე რეკომენდაცია ეხება ტექნიკურ აღჭურვილობას — უნივერსიტეტმა სასწრაფოდ უნდა შეიძინოს ახალი ტექნიკა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სწავლების პრაქტიკული ნაწილი.

გარდა ამისა, ექსპერტებმა გააკეთეს ოთხი დამატებითი რჩევა პროგრამის განვითარებისთვის:

1. უნივერსიტეტმა სტუდენტებს უნდა შესთავაზოს დამოუკიდებელი პრაქტიკის კურსი;
2. სტუდენტებმა აქტიურად უნდა მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში, რისთვისაც უნივერსიტეტმა მათ მხარი უნდა დაუჭიროს;
3. აუცილებელია პლატფორმის შექმნა, სადაც სტუდენტები თავიანთ მედიაპროექტებს განათავსებენ;
4. სასურველია განახლდეს არსებული მემორანდუმები, რაც ხელს შეუწყობს პრაქტიკული უნარების კიდევ უფრო განვითარებას.

ინსტიტუციის არგუმენტირებული დოკუმენტის თანახმად, უნივერსიტეტი სრულად ეთანხმება და იზიარებს ექსპერტების რეკომენდაციებსა და რჩევებს. შესაბამისად, პანელი რეკომენდაციას იძლევა, რომ პროგრამამ მიიღოს სრული აკრედიტაცია.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ხათუნა მაისურაძემ აღნიშნა, რომ როგორც კი დაწესებულებამ მიიღო ექსპერტების რეკომენდაციები და რჩევები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გუნდი უკვე აქტიურად მუშაობდა ამ მიმართულებით. პროგრამამ დაიწყო თანამშრომლობა ჟურნალისტიკის რესურს ცენტრთან, რომელთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი, ასევე „ტოპ ტივისთან“ (TOP.TV), რომელიც აღნიშნული ცენტრის შვილობილი ორგანიზაციაა.

უკვე დაწყებულია მუშაობა პირველ ერთობლივ საცდელ პროექტზე — შექმნილია სპორტული ჟურნალისტიკის მცირე სტუდიური ინიციატივა, რომელშიც ამ ეტაპზე ჩართულია 4-5 სტუდენტი.

დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას რუსული ენის მინიმუმ B1 დონეზე ცოდნის მოთხოვნის შესახებ, თუმცა მიიჩნევს, რომ ეს დონე არ არის საკმარისი. შესაბამისად, უნივერსიტეტი პროგრამაში შეიტანს B2 დონეზე ცოდნის მოთხოვნას.
რაც შეეხება ქართულ ენას, ის პროგრამაში იქნება წარმოდგენილი ენების სწავლების სტანდარტების შესაბამისად, ციფრობრივ-ასოითი დონის დეტალური აღწერით. გარდა ამისა, პროგრამაში ჩართულია კურსი „ქართული ენა 3“, რომელიც შეეხება ქართული ენის თანამედროვე სოციალურ-კულტურულ ასპექტებს და მათ გამოყენებას.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საბჭოს წევრმა, ირინა ლობჟანიძემ, ექსპერტებს მიმართა კითხვით, რომელიც შრომითი ბაზრის კვლევას და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს შეეხებოდა. მას აინტერესებდა, რა მიმართულებით ჩატარდა კვლევა და კონკრეტულად სად შეძლებენ დასაქმებას პროგრამის კურსდამთავრებულები. ასევე დასვა კითხვა, თუ რომელი მედია ორგანიზაციები უზრუნველყოფენ პრაქტიკის გავლის ან დასაქმების შესაძლებლობას რუსულენოვანი ჟურნალისტებისთვის.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა მაისაშვილმა, განმარტა, რომ ჩატარდა კვლევა როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების, ასევე დამსაქმებელთა საჭიროებების მიმართულებით. აღინიშნა, რომ საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია ამ სფეროში არსებული პერსპექტივები. დასაქმების კონკრეტული მაგალითებია: „ეხო კავკაზა“, სადაც უკვე მუშაობს სამი კურსდამთავრებული; „სლოვანიუსი“, რომელიც მთლიანად დაკომპლექტებულია თსუ-ს კურსდამთავრებულებით და მათ ევროკავშირის პრიზი მოიპოვეს; ასევე ტელეკომპანია „ტოკტივი“, სადაც კურსდამთავრებულები რუსულენოვან წყაროებს აანალიზებენ და ეს მასალები შუქდება „TV1“-ის ეთერში და წამყვან ქართულ ტელევიზიებში. გარდა ამისა, დასაქმების დიდი პოტენციალი არსებობს სოციალურ ქსელებში — კურსდამთავრებულები აქტიურად მუშაობენ YouTube-ზე, Instagram-ზე და სხვა პლატფორმებზე.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა, ექსპერტებს დაუსვა კითხვა მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, პროგრამას ამ ეტაპზე არ ჰყავს სტუდენტები, რის გამოც დაინტერესდა, რა საფუძველზე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოსო გაზდელიანმა, განმარტა, რომ რეკომენდაციის საფუძველი იყო პროგრამის სპეციფიკა, რაც ექსპერტებს მიაჩნდათ საკმარისად მნიშვნელოვანი საკითხი. ასევე, ისინი დაეყრდნენ მსგავსი პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.
ხათუნა მაისაშვილმა განმარტა, თუ რატომ დაეთანხმა დაწესებულება რეკომენდაციას. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამა გამოირჩევა კონფერენციების რაოდენობით, დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტების საკმარის მონაწილეობას. ეს დისბალანსი ექსპერტებისთვის თვალსაჩინო გახდა.
ციური დურულმა დაწესებულებას დაუსვა მეორე კითხვა სწავლის შედეგების მექანიზმთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია ძველი პროგრამის სწავლის შედეგები, რაც 100%-იან შესაბამისობას არ იძლევა ახალ კურსებთან. შესაბამისად, დაინტერესდა, რა არის ამის მიზეზი.
ხათუნა მაისაშვილმა განმარტა, რომ ახალ პროგრამაზე გადასვლა განხორციელდება ჰარმონიულად. მისი თქმით, ძველი პროგრამის კომპონენტების მოცულობის შენარჩუნება სირთულეს წარმოადგენდა, რის გამოც გადაწყდა არსებული სისტემის მოდიფიცირება. ასევე აღნიშნა, რომ გაიზარდა როგორც ქართული, ისე რუსულენოვანი სტუდენტების რაოდენობა, თუმცა რუსულენოვანი ქართველი სტუდენტების წილმა მნიშვნელოვნად გადაჭარბა. ამასთან, მათი ენის ცოდნის ფორმალური დონე არ აღმოჩნდა საკმარისი საუნივერსიტეტო განათლების სრულფასოვნად მისაღებად. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის მიზნები და სამიზნე

ნიშნულები უცვლელი დარჩა. მიუხედავად პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა, არსებითი ცვლილება არ მომხდარა პროგრესისა და მეთოდური მიდგომების თვალსაზრისით, რის გამოც წარმოდგენილია ძველი პროგრამის სამიზნე შედეგები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ, დაამატა, რომ ძველი პროგრამის სამიზნე ნიშნულები წარმოდგენილია იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს შეექმნას წარმოდგენა ცალკეული სამიზნე კვლევის დადგენის პროცესზე. ხოლო ახალი პროგრამისთვის განკუთვნილი სამიზნე ნიშნულები გაწერილია მესამე რუქაში.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ რუსულენოვანი პროგრამის შექმნის ერთ-ერთ მიზეზად დასახელდა საზღვარგარეთიდან სტუდენტთა დაბრუნების ხელშეწყობა. მან დაინტერესდა, კონკრეტულად რომელი ქვეყნებიდან აბარებენ სტუდენტები და არსებობს თუ არა სტატისტიკური მონაცემები ადგილობრივ და დაბრუნებულ სტუდენტებს შორის თანაფარდობის შესახებ.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა მაისაშვილმა, განმარტა, რომ სტუდენტები მოდიან რუსეთიდან, ყაზახეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან, ასევე რამდენიმე სტუდენტი ჰყავს ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან. სტატისტიკის განხილვისას აღინიშნა, რომ გასულ წელს პროგრამაზე ჩაირიცხა 44 სტუდენტი, მათგან 8 — ერთიანი ეროვნული გამოცდების გზით, ხოლო 36 — უცხო ქვეყნებიდან.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ, აღნიშნა, რომ ბოლო წლებში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც Erasmus+ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს უნდა მიეღო სტუდენტები სხვა პროგრამიდან გამოთიშული ინსტიტუციებიდან, რომლებიც რუსული ფილოლოგიის კურსზე სწავლობდნენ. თუმცა, იმის გამო, რომ უნივერსიტეტს არ გააჩნდა რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლის პროგრამების გადაფარვა ვერ ხერხდებოდა. მისი თქმით, ამჟამად უნივერსიტეტს ექნება შესაძლებლობა, რუსულენოვან სტუდენტებს სრულფასოვანი განათლება მიაწოდოს.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 15:02**
**დასრულების დრო: 15:18**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის კლასტერის ვადით (01/07/2028) აკრედტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 2

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^{6}$ -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" (რუსულენოვანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 01 ივლისამდე, 1 წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

**მეორე საკითხი:** შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ "აიიუთის" მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი)
**სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულები:** ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მოდულები:

- სახელმწიფო ენა: ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური); ქართული, როგორც, მეორე ენა (საბაზო და საშუალო საფეხური);
- მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური)
- უცხოური ენები: ინგლისური ენა, გერმანული ენა (საბაზო და საშუალო საფეხური)
- საზოგადოებრივი მეცნიერებები: ისტორია; გეოგრაფია; სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური)
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ბიოლოგია; ფიზიკა; ქიმია (საბაზო და საშუალო საფეხური)
- სპორტი.

**სწავლების ენა**: ქართული
**სტატუსი: ახალი**
**კრედიტები:** 60

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან აფთარაშვილმა.**
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ნინო პოპიაშვილი, პირველ რიგში, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია და გადის პირველ აკრედიტაციას. ექსპერტთა ჯგუფმა ორივე პროგრამისთვის გასცა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი დაწესებულებამ სრულად გაიზიარა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამებს ამ დროისთვის არ ჰყავთ სტუდენტები, რის გამოც შეფასება განხორციელდა მათთან გასაუბრების გარეშე. ვიზიტის დროს პროგრამის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მისი ინიცირება და შემუშავება მოხდა დაჩქარებული წესით. შესაბამისად, თავად დაწესებულებამაც აღნიშნა, რომ პროგრამაში ჯერ კიდევ არსებობდა დასახვეწი საკითხები.
შესაბამისად, ექსპერტებისთვის გარკვეული საკითხები დარჩა კითხვის ნიშნის ქვეშ. მაგალითად, დარგობრივი დოკუმენტისა და ეროვნული სასწავლო გეგმის პროგრამაში ასახვის ხარისხი. სწორედ ამ საკითხს ეხება რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომლის მიზანია, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე მუშაობაში სრულფასოვნად ჩაერთოს პასუხისმგებელი კომიტეტი. ასევე რეკომენდირებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებები განხორციელდეს მის საბოლოო დამტკიცებამდე, რადგან, როგორც თავად დაწესებულება აღნიშნავს, პროგრამაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მოგვიანებითაც. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი პროგრამა იყოს სრულყოფილი და საბოლოო, რათა ექსპერტებმა შეაფასონ სწორედ ის ფორმა, რომელიც შემდგომში განხორციელდება.
ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა შუალედური გამოცდების ვადებს. არსებული ვერსიით, შუალედური გამოცდის აღდგენა შესაძლებელი იყო მე-17 კვირაში, რაც ექსპერტთა შეფასებით გაუმართლებელია, რადგან შუალედური შეფასება უნდა ასახავდეს იმ ეტაპზე არსებულ ცოდნას, რაც მიზნად ისახავს სწავლის პროცესის რეგულირებას.
დასასრულს, აღინიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დოკუმენტაცია და საბოლოო დასკვნაც სწორედ ამ განხილვების გათვალისწინებით ჩამოყალიბდა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
დაწესებულების წარმომადგენელმა, პირველ რიგში, მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაიზიარა. თუმცა დარჩა რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ან სრულად არ იყო გაზიარებული, ან მხოლოდ ნაწილობრივ იქნა მიღებული.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო სეფაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს პირველ რეკომენდაციას, რადგან, მისი განმარტებით, პროცესში ყველა საჭირო პირი სრულფასოვნად იყო ჩართული, რომლებიც კარგად იცნობდნენ დარგობრივ მახასიათებლებს და მარეგულირებელ აქტებს. აღნიშნული პროცესი დოკუმენტირებულია შესაბამის ოქმებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ არც მესამე რეკომენდაციას იზიარებენ, რადგან დოკუმენტში თითოეული პროგრამის ფარგლებში დეტალურად არის ჩაშლილი სწავლის შედეგების სისტემა, მექანიზმები, მიზნები, ხერხები, მეთოდოლოგია და ა.შ. ის

რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ არ გაიზიარა, დასკვნის დეტალურად ჩაშალა ექსპერტთა ჯგუფმა, თუმცა არც დასკვნაში და არც ნარატივში წარმოდგენილი არ არის, თუ რა კონკრეტული სპეციფიკური მექანიზმები უნდა დაემატოს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისთვის და რატომ არ გამოდგება ის მექანიზმი, რომელიც სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არის შემუშავებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა არჯევანიძემ მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს 60 კრედიტიან პროგრამის მოდულებს და აზუსტებს სასკოლო პროგრამის კრედიტის მოდულებს. აღნიშნული რეგულაცია პროგრამაში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია. უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური თავისუფლების პრინციპს და შიდა რეგულაციის შესაბამისად, სასწავლო კურსის კრედიტების განსაზღვრის პრეროგატივა აქვს პროგრამის ხელმძღვანელსა და კურსის განმახორციელებელ პერსონალს. ეს მექანიზმი პირდაპირ ბმაშია სასწავლო კურსის შინაარსთან და მოცულობასთან. თავად დასკვნაში ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის სტრუქტურა ძირითადად შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს. შესაბამისად, დაწესებულებამ არ გაიზიარა აღნიშნული რეკომენდაცია.

დაწესებულებამ ასევე არ გაიზიარა მეექვსე რეკომენდაცია. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, პროგრამისთვის სასწავლო პრაქტიკის ობიექტებად პროგრამის განვითარების კომიტეტის მიერ შეირჩა თბილისის №192 საჯარო სკოლა, გორის №1 და №3 საჯარო სკოლები, თბილისის №64 საჯარო სკოლა და თბილისის კლასიკური გიმნაზია. ხელშეკრულების გაფორმებამდე ყველა სკოლა წინასწარ იქნა დათვალიერებული. მათ სრულად გააჩნიათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი სასწავლო რესურსები. ექსპერტებს აღნიშნული ბაზები ადგილზე არ დაუთვალიერებიათ. ნარატივში განხილულია ქიმია-ბიოლოგიის მიმართულებით სკოლების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი. სკოლების შერჩევისას ყურადღება დაეთმო სწავლების განხორციელებას საბაზო და საშუალო საფეხურებზე. სკოლას უნდა ჰქონოდა მინიმუმ ერთი კლასი პროგრამაში წარმოდგენილი ყველა საგნობრივი მიმართულებით. მათ უნდა ჰყოლოდათ მენტორ-მასწავლებლები, რომლებიც შეაფასებდნენ პრაქტიკანტებს. სკოლას უნდა ჰქონოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ურთიერთობის სურვილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა არჯევანიძემ მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას შემუშავებული აქვს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის პედაგოგიური პრაქტიკის გზამკვლევი. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის განსაზღვრული პრაქტიკის განმახორციელებელი პირების უფლება-მოვალეობები. დაწესებულება არ ეთანხმება არც მერვე რეკომენდაციას, რადგან ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილია როგორც სავალდებულო, ისე დამხმარე ლიტერატურა. თემატურად, ყოველკვირეულ გასავლელ მასალის ველში მითითებულია შესაბამისი სახელმძღვანელო, თუმცა კონკრეტული გვერდები არ არის ჩაწერილი, ვინაიდან კანონი არ ავალდებულებს დაწესებულებას. გარდა ამისა, პროგრამაზე ისწავლიან სტუდენტები, რომლებსაც მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი აქვთ. რაც შეეხება სილაბუსებში წარმოდგენილ ლიტერატურასა და კვლევებზე გაცემულ რეკომენდაციას — ის დაწესებულებამ ნაწილობრივ გაიზიარა, რადგან გარკვეულ კურსებში გასული საუკუნის კლასიკოსები იყვნენ მითითებულნი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო სეფაშვილმა მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაცია ნაწილობრივ გაიზიარა. კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც გულისხმობდა საგნობრივი გამოცდის პროგრამის შემუშავებას. რაც შეეხება საგამოცდო პროცედურებსა და მათი ჩატარების წესებს — შესაბამისი დოკუმენტი მომზადებულია და განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ როდესაც მათ დასკვნის პროექტი მიიღეს, მე-18 რეკომენდაციის შინაარსი დეტალურად არ იყო ჩაშლილი. მიუხედავად იმისა,

რომ თავდაპირველად დაწესებულებამ რეკომენდაცია გაიზიარა, ინსტიტუციას სურს, რომ ექსპერტებმა მეტი სიზუსტით წარადგინონ განმარტება, რადგან რეკომენდაციაში მითითებულია, რომ პროგრამის სტანდარტი არ შეესაბამება 2024 წლის 12 თებერვალს განხორციელებულ ცვლილებას, რაც უშუალოდ ეხება სახელოვნებო პროგრამებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო სეფაშვილმა მე-19 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი შუალედური გამოცდის შეფასების ეტაპს ეხება. ხაზი გაესვა იმას, რომ შეფასება არ ხდება მხოლოდ შუალედური გამოცდის ფორმატში და ეს არის სემესტრის განგრძობითი პროცესის ნაწილი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომელთაგან შუალედური გამოცდა მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია. აღინიშნა, რომ შუალედური გამოცდის ჩატარება მე-17 კვირაში ლოგიკურია, რადგან, მაგალითად, თუ სტუდენტს საპატიო მიზეზად აქვს ავადობა, აღნიშნული გარემოების გათვალისწინება და მისი აღმოფხვრა მერვე კვირაში პრაქტიკულად შეუძლებელია. გარდა ამისა, შუალედური გამოცდების პერიოდში სტუდენტები თავისუფლდებიან ლექცია/სემინარებზე დასწრების ვალდებულებისგან. შესაბამისად, აღდგენითი პროცესის მერვე კვირაში გადმოტანა სასწავლო პროცესის ორკვირიან წყვეტას ითვალისწინებს, რაც არ არის მიზანშეწონილი. აქედან გამომდინარე, დაწესებულებამ გადაწყვიტა აღდგენითი გამოცდების ჩასმა მე-17 კვირაში.
რაც შეეხება მე-21 რეკომენდაციას, იგი ეხებოდა სტუდენტთა მიღებისა და მოდულებზე გადანაწილების გეგმას. აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მისაღები კონტინგენტი დაწესებულების მიერ არის განსაზღვრული და შესაბამისი ბიუჯეტიც წარმოდგენილია ექსპერტებისთვის. რაც შეეხება მოდულების განაწილების ნაწილს — დაწესებულება იზიარებს ამ რეკომენდაციას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან კვარაცხელიამ, აფილირებული პერსონალის მეტად ჩართვასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაცია ნაწილობრივ გაიზიარა, რადგან პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის 25% აფილირებულია — რვა თანამშრომლიდან ორი. გარდა ამისა, აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა უნივერსიტეტის SWOT-ანალიზში დასახელებულია ერთ-ერთ გასაუმჯობესებელ მიმართულებად. შესაბამისად, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 7-წლიანი და სამოქმედო 3-წლიანი გეგმები განსაზღვრავს კონკრეტულ სამიზნე მაჩვენებლებსა და მათ მისაღწევად განსახორციელებელ აქტივობებს.
რაც შეეხება მე-23 რეკომენდაციას, აღნიშნულთან დაკავშირებით ითქვა, რომ პროგრამის ლიდერს, საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, ცალკე უფორმდება შრომითი ხელშეკრულება, განესაზღვრება შესაბამისი ანაზღაურება და მისი დატვირთვა შეადგენს 200 საათს წელიწადში, ანუ საშუალოდ 5 საათს კვირაში. აღნიშნული საქმიანობა ცალკე ხელშეკრულების საგანია და შესაბამისად ანაზღაურებადია. ლიდერის უფლებამოსილებები გაწერილია ორ დოკუმენტში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, რუსუდან კვარაცხელიამ მე-24 რეკომენდაციაზეც გააკეთა განმარტება. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაცია უკავშირდება განათლების ცენტრის სტრატეგიულ გეგმას. უნივერსიტეტში მოქმედებს უწყვეტი განათლების ცენტრი და მის განვითარების გეგმაში დეტალურად არის აღწერილი უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები. აღნიშნული გეგმა წარედგინა საექსპერტო ჯგუფს. შესაბამისად, ცენტრი გეგმავს საჭიროების იდენტიფიკაციის საფუძველზე პროფესიული განვითარების შესაბამისი აქტივობების განხორციელებას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის. ამ აქტივობებში იგეგმება, მათ შორის, ტრენინგები თემებზე: მრავალფეროვნების მართვა, სწავლების თეორიები, კლასში განვითარებული მიდგომები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია განსაკუთრებული ნიშა — მისი ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულება ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებსა და პრინციპებზე ორიენტირებულობას.
დასასრულს, ექსპერტმა ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში არის 33 გვერდი, ხოლო ექსპერტთა დასკვნა — 63 გვერდი, რადგან თითოეული რეკომენდაცია

დაზუსტებული და გასაგები ყოფილიყო დაწესებულებისთვის. რაც შეეხება ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციას — ის არ ეხებოდა სილაბუსში გვერდების დამატებას. საუბარი იყო თემატიკის სრული დაფარვისთვის შესაბამისი სასწავლო მასალის წარმოდგენაზე.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა დაწესებულებას კითხვით მიმართა — მას აინტერესებდა, ექნებოდა თუ არა კურსდამთავრებულს დასაქმების შესაძლებლობა მხოლოდ საბაზო/საშუალო საფეხურზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულს დასაქმება შეუძლია მხოლოდ საბაზო საფეხურზე.

საბჭოს წევრმა, ვლადიმერ ადეიშვილმა კვლავ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მან აღნიშნა, რომ სილაბუსში დასწრება/აქტიურობის ქულად განსაზღვრულია 20 ქულა და დაინტერესდა, როგორ ნაწილდება აღნიშნული ქულები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა არჯევანიძემ განმარტა, რომ 10 ქულა ეკუთვნის ლექცია-სემინარზე დასწრებას, ხოლო დარჩენილი 10 ქულა — სასემინარო პროცესში აქტიურ ჩართულობას.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა ექსპერტთა გუნდს კითხვით მიმართა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, რის საფუძველზე გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა, ნინო პოპიაშვილმა განმარტა, რომ პროგრამა ნამდვილად მნიშვნელოვანია და საინტერესოა. მართალია, უნივერსიტეტს არ გააჩნია ამ სფეროში წინა, საფუძველი პროგრამები, თუმცა ეს პროგრამის ფუნქციონირებას ხელს არ შეუშლის. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ პროგრამა ვერ ასახავს ბოლო საკანონმდებლო ცვლილებებს, მათ შორის — ეროვნულ სასწავლო გეგმას. სწორედ ამის გამო გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია.

ექსპერტმა, ირინა გოგონაიამ აღნიშნა, რომ საგნობრივი ცოდნის საფუძველზე ამ კომპონენტების განვითარება უკეთ უზრუნველყოფს მომავალში მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრირებას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულად გაესვა ხაზი რეკომენდაციებში კრედიტების მინიჭების კრიტერიუმებსა და ლაბორატორიულ საკითხს. მისი შეფასებით, არ ჩანს ის ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა რეალური ცდების ჩატარება საბუნებისმეტყველო საგნებში.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა პრაქტიკის განხორციელების პროცესზე კითხვა დაუსვა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორ ხორციელდება პრაქტიკა უნივერსიტეტში — დაგეგმვიდან შესრულებამდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინსტიტუციას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სკოლებთან. ასევე თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ბიზნესის“ ასოციაციასთან, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის ურთიერთობას და კოორდინაციას. გარდა ამისა, მემორანდუმი გაფორმებულია ბიოაგრომცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრთან, რომელსაც გააჩნია სახელმწიფოს მიერ აღიარებული ლაბორატორია, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან პრაქტიკულ პროცესს.

აღინიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი — „პროგრამის განვითარების კომიტეტი“ — ხელმძღვანელობს პროგრამის ლიდერი და მასში შედიან როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტში ლაბორატორიების არასაკმარის რაოდენობას. მენტორებთან დაკავშირებითაც განიმარტა, რომ პრაქტიკის დაწყებამდე უნივერსიტეტი სრულად ინფორმირებულია მენტორის ვინაობასა და გამოცდილებაზე.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურს დამატებით აინტერესებდა, როგორ მიმდინარეობს პრაქტიკის შეფასება და როგორ ხდება საბოლოო პრაქტიკის დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა არჯევანიძემ განმარტა, რომ აღნიშნული პროცედურები დეტალურად არის გაწერილი პედაგოგიური პრაქტიკის გზამკვლევში.
საბჭოს წერმა, ციური დურულმა აღნიშნა, რომ მე-22 რეკომენდაცია დაწესებულებამ აუცილებლად უნდა გაიზიაროს, ვინაიდან კანონმდებლობით არ არის დასაშვები შუალედური გამოცდის აღდგენა.
საბჭოს წევრმა. ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას — კურსზე „სწავლების მეთოდიკა 1“ სილაბუსის მიხედვით, სწავლობს თუ არა სტუდენტი კონკრეტული საკითხების სწავლების მეთოდს, თუ მხოლოდ იმას, „რა ასწავლოს“. მან აღნიშნა, რომ სწავლების მიზნები ძალიან ზოგადია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ირინა არჯევანიძემ განმარტა, რომ სილაბუსები შეიმუშავეს იმ პირებმა, რომლებიც თავად ასწავლიან აღნიშნულ საგნებს სხვა უნივერსიტეტებშიც და გააჩნიათ მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნულ ნაწილში რეკომენდაციები გაზიარებულია და სილაბუსები გადამუშავდება.
დასასრულს, ექსპერტმა დასვა კითხვა, თუ რა იგულისხმება „მწვანე განათლებაში“.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოიაზრება არა მხოლოდ თეორიული ცოდნის მიღება, არამედ პრაქტიკული სწავლებაც.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 16:47**
**დასრულების დრო: 17:44**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი) პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 4 წლის ვადით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 3

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის,მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ - ემუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტ აიიუთის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (ქართული ენა და ლიტერატურა, სამოქალაქო განათლება, ისტორია, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ფიზიკა, ქიმია, ინგლისური ენა, გერმანული ენა, ქართული, როგორც, მეორე ენა, სპორტი) მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

**მესამე საკითხი:** შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI

კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
სხდომა დატოვა ნარგული ასანიძემ.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება**: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური

**სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულები:**

- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები დაწყებითი საფეხური;
- მათემატიკა - დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის);
- ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა - დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური.

**სწავლების ენა**: ქართული
**სტატუსი: აკრედიტებული**
**კრედიტები: 60**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**
**√ არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ 2021 წელს სამივე საგანმანათლებლო პროგრამა ცალ-ცალკე იქნა აკრედიტებული. მისივე თქმით, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის დაბრუნება საწყის მოდელზე — სამ დამოუკიდებელ პროგრამად, განსხვავებული მიზნებითა და სწავლის შედეგებით. ამ ეტაპზე სამივე პროგრამას აქვს საერთო მიზნები და სწავლის შედეგები. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მიზნებსა და სწავლის შედეგებში მკაფიოდ იკვეთება კონტექსტური ავტონომიურობის საკითხი, რაც პროგრამების გამიჯვნის საჭიროებას აყენებს. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ სწავლის შედეგებს აქვს საყოველთაო ხასიათი, რაც, ექსპერტთა აზრით, ერთის მხრივ, არის მოდული „ქართული, როგორც მეორე უცხო ენა“, რომელიც სამივე საფეხურისთვის საზიარია — რაც არ არის რეკომენდებული.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ არსებული სწავლის შედეგები ზედმეტად ზოგადია და არ ირეკლავს კონკრეტული საფეხურებისთვის საჭირო კომპეტენციებს. ერთ-ერთი მაგალითია მოდული „ქართული, როგორც მეორე უცხო ენა“, რომელიც ერთნაირად არის გათვალისწინებული სამივე საფეხურისთვის, რაც ექსპერტთა შეფასებით არ შეესაბამება მიზნობრივი სწავლის სტანდარტს.

ფიფიამ ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მიერ დეტალურად გაანალიზდა. შეფასების შედეგად შემუშავდა კონკრეტული და რეალისტური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ ფორმალურ რეაგირებაზე, არამედ რეალურ შინაარსობრივ გაუმჯობესებაზე. ამ კონტექსტში მან განმარტა, რომ სასურველია გადახედილ იქნას სწავლის შედეგების რუქა, ვინაიდან არსებული რუქა ან ვერ ფარავს არსებულ შედეგებს, ან შინაარსობრივად შეუსაბამოა მათთან.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება კურსებზე დაშვების წინაპირობას, რათა კურსებს შორის ლოგიკური კავშირები იყოს დაცული. ყურადღება უნდა დაეთმოს პროგრამაში არჩევით კურსთა ინტეგრირებასაც. საგნობრივი მეთოდიკის კურსებში რეკომენდებულია დაემატოს რემედიაციისა და უნივერსალური სწავლების შესატყვისი შინაარსის საკითხები, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს დარგობრივი დოკუმენტებით განსაზღვრული კომპეტენციების ათვისებას.

გარდა ამისა, რეკომენდებულია, რომ პროგრამის განხორციელების ფორმატი — ჰიბრიდულ/ონლაინ სწავლების კომპონენტები — სრულ შესაბამისობაში მოვიდეს მოქმედ კანონმდებლობასთან. აღმოჩნდა, რომ 2024–2025 წლებში 60 კრედიტის ათვისება ხდებოდა სრულად ონლაინ ფორმატში, რაც დოკუმენტებში მითითებული არ არის.

რეკომენდებულია, საგნობრივი სწავლის შედეგების ფორმულირებები რედაქტირდეს და ზუსტდეს. შემდეგი რეკომენდაცია ეხება საგნობრივ სილაბუსებთან შესასწავლ თემატიკასთან შესაბამისად გადანაწილებულ მასალას. ასევე რეკომენდებულია, განათლების სისტემის სამართლებრივი საფუძვლების საგანს დაემატოს მოსწავლის ეთიკის კოდექსისა და ბავშვის უფლებათა კოდექსის ნაწილები.

რეკომენდებულია, „ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა“ (დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდიკურ სილაბუსებში გათვალისწინებული იყოს ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით — რაც კანონმდებლობით სავალდებულოა.

რეკომენდებულია, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ფორმატისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ საჭირო ინფორმაცია.

რეკომენდებულია, გაიზარდოს აქტიური პრაქტიკის საკონტაქტო საათები და განისაზღვროს პასიური პრაქტიკის მინიმალური რაოდენობა შეფასების სისტემაში. პრაქტიკის კომპონენტი შედგება ორი ეტაპისგან: პირველი — ჩაშენებული პრაქტიკა, მეორე — დამოუკიდებელი პედაგოგიური პრაქტიკა. პედაგოგიურ პრაქტიკას ეთმობა 8 კრედიტი, ხოლო სტუდენტი ატარებს მხოლოდ 4 გაკვეთილს. ამასთან, რეკომენდებულია, პრაქტიკის კომპონენტის ეფექტიანი ორგანიზებისთვის პრაქტიკის გზამკვლევში გაიწეროს პრაქტიკის ხელმძღვანელის როლი და პასუხისმგებლობები და დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტის შეფასების სისტემა.

რეკომენდებულია, ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტი გაიმიჯნოს პედაგოგიური პრაქტიკის კონტექსტისგან, განიხილოს მხოლოდ პრაქტიკულ კომპონენტად და დამოუკიდებელი პრაქტიკის მოცულობა გაიზარდოს 10 კრედიტამდე, შესაბამისი საკონტაქტო საათების გაზრდის გათვალისწინებით. აღნიშნული 8 კრედიტის გარდა, დარჩენილი 2 კრედიტი არ დასტურდება სილაბუსებში. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ საგნებში ჩაშენებული პრაქტიკა გულისხმობს პრაქტიკულ დავალებებს და არა პედაგოგიურ პრაქტიკას.

რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულება/შეთანხმება ითვალისწინებდეს პრაქტიკანტების რაოდენობას.

ასევე რეკომენდებულია, პროგრამის აღწერაში გაიმიჯნოს მეთოდის, სტრატეგიისა და დავალების ფორმატის შინაარსები და შესაბამისი ფორმულირებები განისაზღვროს.

რეკომენდებულია, დარედაქტირდეს სწავლა-სწავლების მეთოდების ნაწილი და გამოირიცხოს სწავლების მეთოდთა გადაფარვები. სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და მის განხორციელების ფორმატს.
რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში შეფასების ფორმები და მეთოდები შემუშავდეს კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით.
რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „რესურსების შექმნა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დაწყებით საფეხურზე სწავლებისას“ დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტში მაქსიმალური და მინიმალური ქულებისთვის ცალკეული კრიტერიუმები შემუშავდეს და ობიექტური შეფასების მიზნით შეიქმნას ანალიტიკური რუბრიკა.
რეკომენდებულია, გამოყენებულ იქნას ანტიპლაგიატის პროგრამა და გაიზარდოს ინფორმირებულობა პლაგიატის აღმოჩენისა და მისი თავიდან აცილების მექანიზმების შესახებ.
რეკომენდებულია, დაწესებულებამ იზრუნოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე თანამედროვე და ონლაინ სწავლების მეთოდებში. ლექციების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს ულიმიტო ონლაინ პლატფორმა, რაც საშუალებას მისცემს ლექტორსა და სტუდენტს სწავლის პროცესის სათანადოდ და შეუფერხებლად წარმართვას. ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ლექციის დროს სარგებლობდნენ 40-წუთიანი Zoom-ით, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია.
რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო რუკების შემუშავების პროცესში სავალდებულო სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა.
და ბოლოს, რეკომენდებულია, სტუდენტთა გამოკითხვებში სავალდებულო მონაწილეობა გაუქმდეს. დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული დოკუმენტი, რომელიც ანალოგიურია ინტერვიუებზე განხილულისა, ამიტომ ექსპერტებმა ის არ გაითვალისწინეს.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, სალომე პირველმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ უჭირს ობიექტური რეკომენდაციების გაზიარება, რადგან პროგრამის განვითარება მნიშვნელოვანია. თუმცა, მისი თქმით, წარმოდგენილი დასკვნა სცდება იმ რეალობას, რაც უნივერსიტეტში არსებობს. პროგრამას ინსტიტუცია უკვე მეოთხე წელია ახორციელებს. ყოველწლიურად ცხადდება 60 ადგილი და პროგრამაზე დაფიქსირებულია 90%-იანი შევსება. პროგრამის შეფასების მთავარი ინდიკატორია სტუდენტი, რომელიც კმაყოფილია და ეს მაჩვენებელი პროგრესულია.
ხაზი გაესვა იმას, რომ პირველი სტანდარტი მთლიანობაში ექსპერტების მიერ შეფასებულია, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. 1.4 ქვესტანდარტი კი შეფასებულია მეტწილად შესაბამისად, თუმცა დაწესებულება ითხოვს მის გადატანას „ნაწილობრივ შესაბამისში“, რადგან მათი მთავარი მისიაა აკადემიური თავისუფლება — აკადემიური პერსონალი თავისუფალია და აქვს საშუალება გამოიყენოს ის სწავლების მეთოდი, რომელიც მიზანშეწონილად მიაჩნია.
მეორე რეკომენდაცია ამავე ქვესტანდარტში ეხება არჩევით საგნებს. ახალი კანონის მიხედვით, კრედიტები შეიძლება მოიცავდეს არჩევით საგნებსაც, რაც დამოკიდებულია ინსტიტუციის ნებაზე. დაწესებულება მიიჩნევს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩევებში უნდა გადაინაცვლოს.
მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ თავად სიტყვა „რემედიაცია“ შემოიტანა დარგობრივმა მახასიათებელმა. თუმცა, თუ სტუდენტს დააკლდება შინაარსობრივი ინფორმაცია, მისი ამოსავსებად არსებობს მრავალი კურსი. ასევე არარელევანტურად მიიჩნიეს ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რადგან ვიზიტების მიმდინარეობისას არსებული პრობლემა დაწესებულებამ უკვე აღმოფხვრა, თუმცა წარდგენილი დოკუმენტი ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ პირველ და მეორე რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მასწავლებლის პროგრამის საგანმანათლებლო მიზნების ფორმულირებები მიზნად ისახავს პროგრამის ზოგადი ხედვის გადმოცემას, რომელიც ინტეგრირებულად მოიცავს მასწავლებლის ხედვის კომპონენტებს. პროგრამის მიზნები ასახავს ზოგადპედაგოგიკური, პროფესიული, აკადემიური და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებას. სტილისტური ხარვეზები, რომლებიც აღნიშნულია, არ ცვლის პროგრამის მიზანს.

სწავლების შედეგებიც გაწერილია ორ ნაწილად. აქაც გამახვილებულია ყურადღება სტილისტურ ხარვეზებზე, რაც რეალურად არ ცვლის შედეგის შინაარსს. პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია სამი მოდული, რომლებიც მოიცავს საერთო პროფესიულ კომპონენტებსა და მასწავლებლის საერთო პროფილს. ამიტომ სწავლის ზოგადი შედეგები წარმოდგენილია ინტეგრირებულად. ამ მიზნებით მიზნად ისახება საერთო ღირებულებითი, პროფესიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს ჩამოყალიბება, რაც არ გამორიცხავს შინაარსობრივ დიფერენცირებულ მიდგომას კონკრეტულ მოდულებზე. თითოეული მოდული წარმოდგენილია ცალკე, რაც თავისთავად უზრუნველყოფს პროგრამის დიფერენცირებას მის შინაარსობრივ ნაწილში.

ასევე ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია თითოეულ პროგრამაზე, სადაც პროცესში ჩართულნი იყვნენ სამი განსხვავებული ექსპერტთა ჯგუფი.

შემდეგი რეკომენდაცია ეხება სწავლის რუკების გადახედვას. დაწესებულება მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი რუკები ნამდვილად შეესაბამება შედეგებს. კონკრეტული შედეგის მიღწევა ხდება არა მხოლოდ ერთი კურსის გავლით, არამედ პროგრამაში შემავალი რამდენიმე კურსის მეშვეობით.

ასევე რეკომენდაცია იყო, რომ გასწორდეს და დარედაქტირდეს სწავლის სილაბუსები. ინსტიტუციის აზრით, აღნიშნული სილაბუსები სრულად შეესაბამება ჩარჩოს მოთხოვნებს და ჩამოყალიბებულია ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით.

აღინიშნა ისიც, რომ პრაქტიკაში სტუდენტი არ ატარებს მხოლოდ ოთხ გაკვეთილს — უბრალოდ, ოთხი გაკვეთილის მიხედვით ფასდება, რაც მიმდინარეობს სამი თვის განმავლობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ია რობაქიძემ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები უფრო ტექნიკურია, ვიდრე შინაარსობრივი.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის წესის შესაბამისად, ონლაინ სწავლების დაწყებამდე არანაკლებ 60 დღით ადრე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია. მისი თქმით, ექსპერტებს არ ჰქონდათ უფლება განეხილათ შემდგომ ეტაპზე მიღებული გარემოებები და ცვლილებები. მან კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას და დაინტერესდა, როგორ ხორციელდებოდა გამოცდების ჩატარება ონლაინ ფორმატში. დამატებით, ქეთევან აფთარაშვილს აინტერესებდა, იყო თუ არა პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად განსაზღვრული კონკრეტული აკადემიური კვალიფიკაცია და შესაძლებელი იყო თუ არა ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის მიღება პროგრამაში. დარგობრივი სტანდარტის ნაწილთან მიმართებით, ქეთევან აფთარაშვილს სურდა მეტი დეტალური ინფორმაცია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ანჟელა აბულაძემ განმარტა, რომ სწავლების პროცესი ნაწილობრივ დისტანციურ ფორმატში ხორციელდებოდა: ლექციები და სემინარები მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში, თუმცა ყველა გამოცდა ტარდებოდა ადგილზე. რაც შეეხება პროგრამაზე მიღების წინაპირობებს, მან აღნიშნა, რომ მოთხოვნები მინიმუმ ერთი თვით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ძირითადი კრიტერიუმი არის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ფლობა. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ აქამდე არ არსებობდა შეზღუდვა ბაკალავრის პროფესიასთან დაკავშირებით, თუმცა უახლოეს მომავალში

დაწესებულება გეგმავს ამ კუთხით უფრო მკაფიო წესების ჩამოყალიბებას. მიღების პროცესში გათვალისწინებულია ესეს დაწერის კომპონენტიც, რომლისთვისაც მინიმალური საჭირო ქულაა 51.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქეთევან აფთარაშვილმა კითხვა დაუსვა ექსპერტთა ჯგუფს და დაინტერესდა, როგორ იყო ასახული სილაბუსებში ელექტრონული სწავლების მეთოდები.
ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ აღნიშნა, რომ სილაბუსების გადამოწმებისას „Control+F"-ით ძიების შედეგად მსგავსი ტერმინოლოგია დოკუმენტებში არ იძებნება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ დისტანციური სწავლების სპეციფიკა არც სწავლების მეთოდებშია სათანადოდ წარმოდგენილი.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტთა გუნდს. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციაში წერია, რომ სასწავლო კურსების მიზნები არ არის გაზომვადი. მისი აზრით, მიზნები აუცილებლად უნდა იყოს მიღწევადი.
ექსპერტმა, ზაქარია ქიტიაშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სწავლების მიზნების გაზომვადობის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გრამატიკულად წინადადების სწორ ფორმულირებას. მისი შეფასებით, რეკომენდაციები, რომლებიც გრამატიკულ საკითხებს შეეხებოდა, განსაკუთრებით ქართული ენის მასწავლებლის საგანმანათლებლო პროგრამის ჭრილში, კოლეგიალურად ჩამოყალიბებული და მისაღებია. მისივე თქმით, საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან ამ საკითხზე განსაკუთრებული აქცენტის გადატანა შესაძლოა განიმარტოს როგორც მცდელობა, თავი აერიდებინათ რეალურად არსებითი პრობლემის — მიზნებისა და შედეგების ერთიან კონტექსტში შერწყმის — განხილვას. ეს ეხება მიზნებისა და შედეგების ერთ კონტექსტში მოქცევას. 1–12 კლასის მასწავლებლის მომზადების პროგრამის მიზნები ვერ იქნება სრულად იდენტური 1–4 კლასისთვის განსაზღვრულ მიზნებთან. შესაბამისად, როდესაც დაწესებულება ახორციელებს ქართულ ენაზე სწავლების პროგრამას, განსაკუთრებით — როგორც მეორე ენის სწავლების ჭრილში, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს სტილისტური და ლინგვისტური კომპეტენცია, რათა თავიდან აიცილოს მსგავსი ხასიათის შეცდომები.
ექსპერტმა, ეკატერინე ფიფიამ ბიუჯეტთან დაკავშირებით დასვა კითხვა და აღნიშნა, რომ დოკუმენტაციაში არ არის ასახული ონლაინ სწავლებისას გამოყენებული პლატფორმის — „ზუმის" — ხარჯები. მისი თქმით, უნივერსიტეტი იყენებდა ზუმის 40-წუთიან უფასო ვერსიას, თუმცა დისტანციური სწავლების ფარგლებში პლატფორმის გამოყენების ხარჯები მაინც უნდა იყოს დეტალურად გაწერილი ბიუჯეტში.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 19:00**
**დასრულების დრო: 20:16**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისათვის (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 7 წლის ვადით (2032 წლის 21 ივლისამდე), 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^2$მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$მუხლი ს პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ$^1$“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს NEU ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (1. დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება - I-IV კლასები); 2. დაწყებითი საფეხური (I-VI კლასის) მათემატიკა; 3. ქართული, როგორც მეორე/უცხოური ენა (დაწყებითი-საბაზო-საშუალო საფეხური) მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2032 წლის 21 ივლისამდე), 2 წლისთავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით.

**სხდომას შემუერთდა ნარგული ასანიძე, ხოლო სდომა დატოვა, თეა მჭედლურმა.**

**მეოთხე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:** მოდის დიზაინი
**საფეხური**: ბაკალავრიატი
**სწავლების ენა**: ქართული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: მოდის დიზაინის ბაკალავრი
**დეტალური სფეროს კოდი:** 0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
**სტატუსი:** აკრედიტებული
**კრედიტები:** 240

**მეხუთე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
**საფეხური**: მოდის დიზაინი
**სწავლების ენა**: ქართული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: მოდის დიზაინის მაგისტრი
**დეტალური სფეროს კოდი:** 0212 - მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინი
**სტატუსი:** აკრედიტებული
**კრედიტები:** 120

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ი საცილება**
**√ არა**
**საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება**
**√ კი**

**თვითაცილება განაცხადეს ვლადიმერ ადეიშვილმა და ლევან შავაძემ.**

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან ვლადიმერ ადეიშვილის შემთხვევაში, ხოლო ლევან შავაძის შემთხვევაში - აკადემიური ურთიერთობები დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეოთხე  და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**
ექსპერტმა, ნინო მგალობლიშვილმა აღნიშნა,რომ ორივე საფეხურზე განხორციელებული ცვლილებები სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან. რეკომენდაციები დაწესებულების მიერ დეტალურად იქნა გაანალიებული, რის საფუძველზეც შემუშავდა კონკრეტული დარეალისტური ღონისძიებები. გარდა ამისა, მან ხაზი გაუსვა იმასაც, რომ განხორციელებული ცვლილებები არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალურ რეაგირებას. პროცესში გათვალისწინებული იყო ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია და რჩევა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია გრძელიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა გაეთვალისწინებინა თითოეული რეკომენდაცია და რჩევა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 20:25**
**დასრულების დრო: 20:28**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების $27^{6}$ -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-$2^{11}$ პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მოდის დიზაინის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0
**გადაწყვეტილება:**
აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

**მეექვსე საკითხი:** სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის განხილვა;
**საფეხური**: საშემსრულებლო ხელოვნება (კლავიშიანი საკრავები/ სიმებიანი საკრავები/ ჩასაბერი საკრავები /ვოკალი/საგუნდო დირიჟორობა)
**სწავლების ენა**: ქართული
**მისანიჭებელი კვალიფიკაცია**: მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნების ბაკალავრი
**დეტალური სფეროს კოდი:** 0215 - მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
**სტატუსი:** აკრედიტებული
**კრედიტები:** 240

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება**
**√ არა**
**საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება**
**√ კი**
**თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ და ვლადიმერ ადეიშვილმა.**
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან ვლადიმერ ადეიშვილის შემთხვევაში, ხოლო ლევან შავაძის შემთხვევაში - აკადემიური ურთიერთობები დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**
**საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებასთან გაცემული იყო 17 რეკომენდაცია. ექსპერტმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტებში

ინფორმაცია სრულყოფილად არ იყო შევსებული და ამიტომ დარჩა სამი რეკომენდაცია. კერძოდ, მე-13 რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა 3.1 სტანდარტს. უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია სრულად არ გაიზიარა, რის გამოც შეფასდა როგორც შეუსრულებელი. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მატერიალურ რესურსებს. ამ შემთხვევაშიც არ იყო წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, როგორიცაა დამატებითი ბაზის ან შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა ბიუჯეტს, სადაც მოთხოვნილი იყო, რომ ბიუჯეტში წინასწარ გათვალისწინებული ყოფილიყო სტუდენტების სტიპენდიები და პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯები. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა დეტალურად გაწერილი ბიუჯეტი, მასში არ იყო მითითებული კონკრეტული თანხების ოდენობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ინსტიტუციის წარმომადგენელმა განმარტა, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი სახელმწიფო დაწესებულებაა, მას არ აქვს ცალ-ცალკე გაწერილი ბიუჯეტი, არსებობს მხოლოდ ერთიანი დოკუმენტი. მიუხედავად ამისა, სტუდენტებისთვის სტიპენდიები ნამდვილად არსებობს, რაც შესაძლებელია დოკუმენტურადაც იქნას წარდგენილი. გარდა ამისა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი მაქსიმალურად გამოყოფს დამატებით ფინანსურ რესურსებს. ხდება აკადემიური პერსონალის წახალისება კონფერენციებში, ტრენინგებში და სხვა პროფესიულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის დაფინანსება. რაც შეეხება 4.4 რეკომენდაციას, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა ამ მიმართულებით. ასევე არის ელექტრონული კატალოგიც, თუმცა კონკრეტულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზებთან ხელშეკრულების გაფორმება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი დარეგისტრირებულია სხვადასხვა ღია წვდომის ელექტრონულ პლატფორმებზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი რესურსებით სარგებლობა.

**საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**
**საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ**

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**
**დაწყების დრო: 20:41**
**დასრულების დრო: 20:43**

**საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**
სსიპ - აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საშემსრულებლო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2025 წლის 21 ივლისის 20:45 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე,
აფთარაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
ზუსტი ასლი
ელექტრონული